წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N4
1 თებერვალი 2022 წ.

ქ. წალენჯიხა

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის,"ნორმატიული აქტების შესახებ"საქართველოს ორგანული კანონის მე-20 და 24-ე მუხლების შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2018 წლის 18 იანვრის N1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 23/01/2018, სარეგ.კოდი 010320000.35.104.016353) და ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"

დანართი N1

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგები და თანამდებობრივი სარგო

N რიგზე	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	3000
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	2150
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2000
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1485
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1485

6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1320
7	პირველი რანგი-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-აპარატის უფროსი	1650
8	მეორე რანგი-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი	1540
9	მეორე რანგი-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი	1320
10	მეორე რანგი-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-აპარატის სამდივნპს უფროსი	1320
11	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1100
12	მესამე რანგი მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	990
13	მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	990

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2022 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **კორნელი სალია**